ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 2-3

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1534) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებით 2015 წლის 6 აპრილს შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ საკონკურსო კომისიის სხდომა,
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი: ელგუჯა ხაზარაძე (მოწვეული);
გ) წევრი: ამირან შაქარაძე;
დ) წევრი: გიორგი კაცაძე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი: – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1534) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;
განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (1534) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ჯარჯი ჯგუფი“ (ს/კ 245556964).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „ჯარჯი ჯგუფი“) შემოთავაზება, დეტალური განხილვისას დადგინდა რომ პრეტენდენის მიერ წარმოდგენილი იქნა სადარბაზოს კარების 6 ესკიზი ნაცვალად 20 ესკიზისა, ხოლო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დოკუმენტაციაში მითითებული კარების ფართობი არ არის ზუსტი და მოითხოვს დაზუსტებას რეალური ზომების შესაბამიასად.
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს „ჯარჯი ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:

1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, ამიტომ ეცნობოს პრეტენდენტს შპს „ჯარჯი ჯგუფი“, რათა არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დაზუსტებული სადარბაზოს კარების ესკიზები სრულად (არ არის წარმოდგენილი 14 კარების ესკიზი) და ხოლო ხარჯთარიცხვები წარმოადგინოს დაზუსტებული ზომის გათვალისწინებით.

/ავთანდილ დარჩია/

/ამირან შაქარაძე/

/ელგუჯა ხაზარაძე/

/გიორგი კაცაძე/